ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა

«დიდი დილომი 2006»

სადამფუძნებლო კრების ოქმი №1

26 დეკემბერი 2006 წ.

ქ. თბილისი

კრებას ესწრებოდნენ:

- ზურაბ კაკაბაძე.
- გურამ კაკაბაძე.
- გიორგი მაცაბერიძე.
- გივი ფიფია.
- გიორგი თიგიშვილი.
- რობერტ გაბიანი.
- რუსუდან მელიქიძე.
- გივი მაცაბერიძე.
- დოდო გარამია.
- ალბერტ გუბუტიშვილი.
- ზაურ ჩივაძე.
- გიორგი ფირანიშვილი.
- მარინა მარჭარაშვილი.
- თამარ მარჭარაშვილი.
- ხვიჩა ირემაშვილი.
- ჯამბულ კვახაძე.
- ნონა ქავთარაძე.
- ლევან ფირანშვილი.
- თინა ჩივაძე.
- მამუკა ჩივაძე.
- თამარ ციცქიშვილი.

კრების თავმჯდომარე: ზურაბ კაკაბაძე.

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, დიდი დიღმის I მკრ-ში ცენტრალური გზის მიმდებარედ საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის შექმნა. ამხანაგობის წევრთა შენატანები.
2. ამხანაგობის გამგეობის და თავმჯდომარის არჩევა.
3. ამხანაგობის ხელშეკრულების დამტკიცება.

<u>*პირველ საკითხთან დაკავშირებით:*</u>

მოისმინეს: კრების თავმჯდომარის ზურაბ კაკაბაძის ინფორმაცია, რომელმაც კრების მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის შექმნის შესახებ, რომლის მიზანი იქნება ქ. თბილისში, დიდი დიღმის I მკრ-ში ცენტრალური გზის მიმდებარედ საცხოვრებელი სახლის აშენება და ამხანაგობის წევრების შორის განაწილება.

აზრი გამოთქვეს: გიორგი თიგიშვილმა.

დაადგინეს:

1. ქ. თბილისში, დიდი დიღმის I მკრ-ში ცენტრალური გზის მიმდებარედ მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით შეიქმნას ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა და ეწოდოს «დიდი დილომი 2006».

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:

მოისმინეს: გივი ფიფიას ინფორმაცია, რომელმაც კრების მონაწილეებს წარუდგინა ამხანაგობის გამგეობის წევრების და თავმჯდომარის კანდიდატურები.

აზრი გამოთქვეს: რობერტ გაბიანმა.

დაადგინეს:

1. ამხანაგობის გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ: ზურაბ კაკაბაძე, გურამ კაკაბაძე, გიორგი მაცაბერიძე, გივი ფიფია და გიორგი თიგიშვილი.
2. ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ბ-ნი ზურაბ კაკაბაძე.

მესამე საკითხთან დაკავშირებით:

მოისმინეს: ზურაბ კაკაბაძის ინფორმაცია, რომელმაც კრების მონაწილეებს გააცნო ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის ხელშეკრულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: გურამ კაკაბაძემ, რუსუდან მელიქიძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის ხელშეკრულება, რომლში მოცემულია ინფორმაცია ამხანაგობის მოღვაწეობის შესახებ. იგი ხელმოწერილი იქნეს ამხანაგობის წევრების მიერ.

კრების თავმჯდომარე: კაკაბაძე ზურაბი /ზურაბ კაკაბაძე/

საქართველო
სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 1-621-7

ორიათას ექვსი წლის ოცდაექვს დეკემბერს მე, ეკა მსხილაძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, სანოტარო ბიუროში (მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №10) მომმართა ზურაბ კაკაბაძემ. მათ წარმოადგინეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «დიდი დილომი 2006»-ს მონაწილეთა 2006 წლის 26 დეკემბრის სადამფუძნებლო კრების ოქმი №1 და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება. მე დავადგინე მისი ვინაობა და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა ზურაბ კაკაბაძემ, დაბ. 05.02.1959 თბილისი; მცხ. თბილისი, იოსებიძის ქ. 11; მოქალაქის პირადობის მოწმობა № დ 0181686, პირადი №01024021417, გაცემულია თბილისის საბურთალოს რაიონის შს სამმართვ. მიერ 02.09.1997 წ.

მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რის შემდეგაც ზურაბ კაკაბაძემ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე ოქმს.

ნოტარიუსის საზღაური: 2 ლარი + დღგ 0,36 ლარი.

ნოტარიუსი _____ /ეკა მსხილაძე/